

„კარგი ადმინისტრაციის“ პრინციპი ქართულ და ევროპულ სამართლებრივ
აქტებში

სალომე მახარაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ცხადაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე მახარაძე

01.07.2019

აბსტრაქტი

თანამედროვე საზოგადოებაში ბოლო წლებში განხორციელებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა და კულტურულმა ცვლილებებმა ადმინისტრაციული სამართალი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა არის „კარგი ადმინისტრაციის“ პრინციპი, რომელსაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ახალი დემოკრატიის მქონე ქვეყნებისათვის, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც.

„კარგი ადმინისტრაციის“ პრინციპის დანიშნულება არის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ხარისხის ამაღლება, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის ინტერესების მაქსიმალური დაცვა. ასევე, ეფექტური, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებლიანი ადმინისტრაციის არსებობისათვის შესაბამისი გარანტიების შექმნა. „კარგი ადმინისტრაციის“ პრინციპი მოცემულია ევროკავშირისა და ევროსაბჭოს სამართლებრივ აქტებში, მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „ძირითად უფლებათა ქარტიის“ 41-ე მუხლი. საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ძირეული ცვლილებების შედეგად, მე-18 მუხლის პირველმა ნაწილმა დაარეგულირა და კონსტიტუციურ უფლებათა რანგში აიყვანა უფლება „კარგ ადმინისტრაციასა“ და სამართლიან ადმინისტრაციულ წარმოებაზე (რასაც არ ითვალისწინებდა ადრინდელი რედაქცია), ხოლო კარგი ადმინისტრაციის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები კი მოცემულია „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში“.

ამრიგად, კონსტიტუციაში ზემოთ აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შედეგად ქართული კანონმდებლობა, ევროკავშირის სამართლებრივი აქტების მსგავსად, თითქმის სრულყოფილად ადგენს „კარგი ადმინისტრაციის“ შინაარსს და მისი მოქმედების ფარგლებს, რითაც ქმნის მყარ საფუძველს „კარგი ადმინისტრაციის“ რეალური განხორციელებისათვის.

საძიებო სიტყვები: კარგი ადმინისტრაცია, კარგი მმართველობა, ადმინისტრაციული სამართალი, საქართველო, ადმინისტრაციული წარმოება

Abstract

Administrative law faced new challenges due to recent political, economic, social and cultural changes in modern society. One of such challenges is the principle of “Good administration” which has a special function for the countries having new democracy, Georgia is among them.

The purpose of the principle of “Good administration” is to raise the quality of work of administrative bodies and to defend interests of people involved in administrative production. And to create guaranties for efficient, effective, accountable and responsible administration. The principle of “Good administration” is given in legal acts of European Union and European Council, article 41th of „The Charter of Fundamental Rights“ is of special importance. As a result of fundamental amendments in the Constitution of Georgia, the first part of article 18th regulated and took the right of “Good administration” and fair administrative office work in the rank of constitutional rights (which was not considered in previous edition) and legal guarantee of the principle of good administration is given in General Administrative Code of Georgia.

Thus, as a result of abovementioned amendments in constitution, Georgian legislation, like European legal acts, almost perfectly determines the scope and content of “Good Administration” and creates solid foundation for real implementation of “Good Administration”.

Key words: Good Administration, Good Governance, Administrative law, Georgia, Administrative Procedures.